# ნიანგი



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბოლშევიკი—მუშას (მსოფლიოს):**
პარტიის ეს გზა ოცდაათი წლის
და გადმოვლილი მთები, ველები,
ავი დარები, წვიმები სისხლის
გზაში დამხვდური ნიაღვარებით
ისევ მხნე არის და ახალგაზრდა...
ძველო სამყარო ვეღარ გაგვიძლებ
მოკლე გაქვს, მოკლე სიცოცხლის ვადა

## გაწვდილი ხელი

აგვისტო, 1933. № 15, ფასი 40 კ.

**მენშევიკი (კაპიტალს):**
ერთია ჩვენი გზა საბოლოოდ,—
უფსკრულისაკენ მივექანებით,
დღეს უნდა ცოტა რამ მიწყალობო
თორემ გიკვდები „ტვინის ქარებით"
შენი მონა ვარ, შენი ერთგული,
შენთვის არ მინდობს მუშათა კლასი,
საცაა ბოლომით გამისკდეს გული
და სულსაც ჩემსას მოედვა ხავსი.

# ოცდაათი წელი
## ვისთვის—სიხარული
## ვისთვის—სატანჯველი

— ნათქვამია: „გაქექილს გატეხილი სჯობიაო“. რაღა დაგიმალო, ჩემო ბესარიონ, სავსე ვარ თქვენს მიმართ შურით და ღვარძლით. დღეს თქვენ ბედნიერები ხართ, ჩვენ კი უბედურები... თქვენ დღესასწაულობთ თქვენი პარტიის 30 წლის ბრძოლებს და გამარჯვებებს, ჩვენ კი ვგლოვობთ ჩვენი პარტიის 30 წლის არსებობას, რომელმაც ასესაქვეყნოდ დაგვჭრა თავები. ჩვენი პარტიის დაღუპვა მე მაინცა და მაინც არ მანაღვლებს, ჯანდაბას ყოფილა მისი თავი. მე მანაღვლებს ჩემი ტყავი. რომელიც ახლა უბრალო ქალამნისთვისაც კი არ გამოდგება. ერთი ეს ამიხსენი, თუ კაცი ხარ: რატომ შენ უნდა იყო ბოლშევიკი და არა მე. რავა თვალ-ტანადობით მჯობიხარ, სიტყვა-პასუხით, თუ ჭკუა-გონებით?. ცხრაას სამამდი ხომ ერთად ვიყავით, ცხრაას სამიდან შენ ბოლშევიზმის გზას დაადექი მე მენშევიზმის. მაშინ გამიწყრა ღმერთი, როცა მენშევიკების პარტიაში ჩავეწერე. მე ხომ არც მენშევიკი ვყოფილვარ, და არც ბოლშევიკი.

ბარემ თქვენ პარტიაში ჩავწერილიყავ, დღეს კაცი ვიქნებოდი და თქვენთან ერთად მეც ვიდღესასწაულებდი თქვენი პარტიის 30 წლის თავს.

— ჰმ, რა გულუბრყვილოდ მჯელობ, ჩემო ლევარსი!, რატომ ბოლშევიკი არ ვარო. იმიტომ არ ხარ, რომ არ შეგიძლია იყო...

— როგორ არ შემიძლია, კაცო. ვინ დამიშლიდა, რომ ჩავწერილიყავი თქვენს პარტიაში.

— ვინ დაგიშლიდა? პირველყოვლისა თავის თავი; მეორეც—ჩვენს პარტიაში შემოსვლა იოლი ნუ გგონია. არ იცი ჩვენი პარტიის ბელადი ამხ. სტალინი, როგორ წერს: „ყველა კი ვერ **შესძლებს იყოს ამ პარტიის წევრი, ყველა კი ვერ შესძლებს გადაიტანოს, გაჭირვება და ქარიშხალი, რომლებიც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობას“.** ახლა ხომ გაიგე ლევარსი როგორი ყოფილა ჩვენი პარტია? ხომ გაიგე, რატომ არ შეგეძლო ყოფილიყავ ჩვენი პარტიის წევრი?

— ჰე, გავიგე, გავიგე და მიტომაც არის, რომ თქვენი პარტიის 30 წლის თავს მე ვეგებები ბოღმით სავსე გულით, მწუხარებით და წყევლა-კრულვით.

— ხა, ხა, ხა, ხა!,—გულიანად გადიხარხარა ბესარიონმა და ლევარსის ამღვრეულ თვალებში ჩახედა. —შენს მწუხარებას, ჩემო ლევარსი, ვერაფრით ვუშველი. მე შემიძლია მხოლოდ გირჩიო ერთი რამ: საჭიროა შენი დასპეციალისტება ერთ საქმეში.

— რა საქმეში, კაცო? მე ხომ არაფრის გამკეთებელი არა ვარ!

— აკი შენ წყევლა-კრულვისათვის მოგიკიდია ხელი! ესეც ხომ საქმეა. მე მგონია საჭირო იქნება ამ საქმეში შენი დასპეციალისტება. წყევლა-კრულვა ბებია ჩემის ხელობაა. მას ჩვენში ბელადი არ ყოლია თვითმპყრობელობის და მენშევიკების წინააღმდეგ.

ჩემი რჩევა იქნება—რამდენიმე გაკვეთილი აიღო მისგან. (წყევლის „ტექნიკის“ დაუფლების მიზნით) და მით ამ საქმეში მიიღო სათანადო კვალიფიკაცია...გაიგე ლევარსი?

— ჰე, გავიგე, გავიგე, რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო“.

**უუმბარა**

# ვერ ეშველის

ნახ. ქოქიაშვილის.



სანამ ლაპარაკიც არ იყო პარტიის წმენდაზე...



მაშ შემდეგ გამოქვეყნდა დადგენილება პარტიის წმენდის შესახებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი და ყვითელი

ერთად დაიბადენ.

დავაჟკაცების ჰასაკში კი განსხვავებამ გააცალკევა.

ყვითელმა ნაბიჯს უკლო, მარჯვნივ აიღო გეზი.

— ნაბიჯი მტკიცე უნდა გქონდის, ყვითელ! რატომ იწევ იქით? ვის ფანჯარაში იცქირები ეგრე ხარბად?

— ო, განა ყნოსვა გღალატობს. შეხედე ერთი, წითელ, აგერ იქ ოქროს ჩარჩოიან ფანჯრების იქით ბატონი კაპიტალი ცხოვრობს. შემწვარი და მოხრაკული ამშვენებს მის სუფრას. ულეველი და გემრიელი მოხრაკულები... აბა იყნოსე დამათრობელია ეს სურნელება. ტვინს რომ ულიტინებს. იქით წითელ, იქით არის წასვლა საჭირო.

— ეგ მილიონების სისხლით შეზავებული საკვებია ყვითელ, მისი სურნელება შურისძიების ცეცხლით უნდა გინთებდეს გულს, შენ კი გიზიდავს.

— ო, ძმაო წითელ, ბატონ კაპიტალს შესანიშნავი გემოვნება აქვს და რახან მას მოსწონს, მაშასადამე, სწორედ ასეთი საკვებია საჭირო. იყნოსე ერთი წითელ, რა გამაბრუებელი სურნელება ავსებს ჰაერს მოხრაკულებისაგან. წავიდეთ, ქება შევასხათ ბატონ კაპიტალს, ის ნასუფრალს გაიმეტებს.

და ყვითელი მსუნაგად ილოკავს ტუჩებს.

— შენ უგუნურება გაბოდებს ყვითელ, კაპიტალთან დაჩოქებამ მისთვის ქების შესხმა. ეგ ხომ ღალატია მილიონების, უკან რომ მოგვყვებიან კაპიტალთან საბრძოლველად!

— არაფერი ღალატი არ არის, — გაბრაზებით მიუგებს ყვითელი, — მე წინამძღოლი ვარ, აი მაგ მილიონებს. აუხსნი, რომ ბ-ნ კაპიტალს წყენა ავნებს, რომ ჩვენ იმისი ფეხთა მტვერნი ვართ, რომ მას უნდა ვმორჩილებდეთ.

სიტყვას შემპარავი სიტკბო თუ მივეცი დამიჯერებენ! — დასძინა თვალების ცეცებით ყვითელმა.

— შენ ღალატის სენს შეუპყრიხარ ყვითელ. მაგის ნებას არ მოგცემ, არ მოგცემ ნებას, რომ არა მკითხე წინამძღოლობაზე ილაყბო. აი ამ მილიონებს მე წარუძღვები წინ, მე და ვამთებინებ მსოფლიო ხანძარს, რომელშიც უნდა დაიფერფლოს შენი ბატონი კაპიტალი; რომელმაც უნდა გაწმინდოს დედამიწა მონობისა და ყვლეფის სენისაგან და რომელმაც უნდა დაბადოს, ააშენოს თავისუფლებისა და შრომის ახალი სამყარო.

წითელი მიუბრუნდა მილიონებს და აღგზნებულად მიმართა:

— ჰეი, თქვენ, ვინც საკუთარი შემოქმედებით ჰქმნით სიმდიდრესა და ბედნიერებას, ვინც ცხოვრებას აძლევთ შინაარსსა და ძლიერებას, თქვენ გღალატობენ, მოტყუებით გიპირებენ შეგინარჩუნონ მონობის უღელი, ფხიზლად იყავით, მოყევით ჩემს კვალს, იბრძოლეთ აი ამ დროშით.

და წითელმა აღმართა ანთებული ბრძოლის დროშა. მას გაყვენ მილიონებიდან გამოყოფილი წინა რაზმები.

გზები გაიყარა. ყვითელმა, ხელების სავსავით, თვალების ცეცებით, ქურდული, ტკბილი შემპარავი წუწუნით მიმართა დანარჩენებს:

— ოი, გვიშველეთ, ერიდეთ, იქ ხანძარია, ძნელი გზაა, ეკლიანი, განსაცდელით აღსავსე, აქ კი... აბა იყნოსეთ, ბატონი კაპიტალი არც ისე უგულოა, რომ არ დაგვაპუროს. აბა რა საჭიროა ბრძოლა, როდესაც ბატონი კაპიტალი მზად არის ოქროს სინაზე დადებული ბედნიერება თითონ მოგართვათ.

—:—

ისტორიის მარტივი ენა ლაპარაკობს, რომ ეს მოხდა 1903 წელს პარტიის მეორე ყრილობაზე, როცა ლენინმა საბოლოოდ დაარწმუნა მსოფლიო პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი, რომ სოციალ-ფაშიზმი თავისი უხერხემლო იდეებით ატყუებს მუშათა კლასს, ღალატობს მას და ერთგულად ემსახურება კაპიტალს. პარტიის მეორე ყრილობამ გარკვეული გზა დასახა რევოლიუციონური ბრძოლისათვის. მან კომუნისტური პარტიის მებრძოლი დროშით გაანათა ეს გზა და ლენინის წინამძღოლობით დასძრა მილიონები კაპიტალიზმთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ყვითელი ფაშიზმი კი დარჩა უფსკრულს იქით და ყოველთვის, როცა ძლიერად დაჰკრავდა რევოლიუციონური ბრძოლის ტალღა, ისმოდა მისი ხმაჩახლეჩილი, განწირული კნავილი.

— არიქა, თავს უშველეთ, ხანძარია... აქეთ, კაპიტალის ციხე-სიმაგრეს უდარაჯეთ, არ შემოამტვრიოს ტალღამ მისი კედლები, არ დაგვილუპოს ძვირფასი ნასუფრალი...

იგივე ულმობელი ისტორია ლაპარაკობს, რომ ყვითლებს არ უშველა არც კნავილმა, არც შემპარავმა ქურდულმა კილომ, არც ხელების სავსავმა. მილიონები დაირაზმენ ლენინის პარტიის დროშის ქვეშ, დაამსხვრიეს კაპიტალის ბატონობა მსოფლიოს მეექვსედზე, ლენინის დროშით და დიდი ბელადის სტალინის ხელმძღვანელობით ააშენეს ამ მეექვსედზე სოციალიზმის საფუძვლები, ლენინის დროშამ მთელს მსოფლიოში აანთო რევოლიუციის ხანძარი, რომლის დაუნდობელი ალი უკვე სცემს კაპიტალის სასახლეებს, ფანჯრებს და დღეს თუ არა ხვალ მთლიანად უნდა დაფერფლოს ის. ამ სასახლის შიშით მოცულ დარბაზებიდან დროგამოშვებით მოისმის:

— ყვითელ, შენ ჩემი ნასუფრალით იკვებებოდი. მეც ვაფასებდი შენს ერთგულებას, მიტომ გიბოძე პორტფელი და ლივრეია, შემოგიყვანე ამ დარბაზებში, ხედავ ოქროს სკივრები შენთვის ღიაა, მაგრამ სად არის შენი აღთქმა, ყვითელ? საფრთხე ახლოვდება, ხსნა არსაღა ჩანს, შე კი თითონ ეფარები ჩემს კალთას. მე მაგას აღარ მოვითმენ, ყვითელ!

ყვითელი კნავილით უპასუხებს:

— ო, ნუ გამირისხდები, ბატონო კაპიტალო, ათასმა მახვილმა დაფლითოს შენი ორგული. აი იმ წყეულმა წითელმა წამართვა მილიონები, აამხედრა ისინი, შეტევაზე მოდის, მაგრამ განა არ ხედავ, როგორ ვცდილობ აგაცდინო მათი რისხვა. ჩემს ენამჭევრობას არ ვზოგავ მათ მოსატყუებლად. შენთვის ვუღალატე სიწმინდესა და სინიდისს, შენს ერთგულებაში ვათენ-ვაღამებ და ვცდილობ დაგიფარო განსაცდელისაგან. აი ახლაც დამიგდე ყური ბატონო კაპიტალ, თუ როგორ ვცდილობ.

და ყვითელი აფრიალებს ნაჩუქარ ლივრეის კალთებს და ხრინწიანი ხმით კნავის:

— არიქა გვიშველე-ე-ეთ, ხანძარია, აქეთ, კაპიტალის გადასარჩენად.

მაგრამ ისტორია ულმობელია, მას ერთხელაც არ აუჩუყდა გული ოცდაათი წლის მანძილზე. არც ახლა უსმენს.

თარხი.

## წმენდის კანდიდატი

ნახ. ნადარეიშვილის



პარტიაში შემომძვრალა
ეჯავრება კოლექტივი,
მაგრამ მალე პარტიიდან
გაცურდება, როგორც ტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წმენდიდან დაბრუნებული

ნახ. ლომიძის.



ცოლი გენაცვალე, რა მოგივიდა, რომ ასე დაღვრემილხარ.
ქმარი—პარტიიდან გამომაგდეს... პარტბილეთი ჩამომართვეს.



ცოლი—ეს არაფერია, ჭირიმე მაგისი დარდი ნუ გაქვს. პარტბილეთი რად გინდა, ოღონდ ტრესტიდან ნუ მოგხსნიან.
ქმარი:—საქმეც ის არის, რომ ტრესტიდანაც მომხსნეს და..,



ცოლი—რაო,,, ტრესტიდან მომხსნესო დაიკარგე აქედან.

# მეპარტიულის ლოცვა
## წმენდის წინ

ღმერთო მაღალო,
განკითხვა მელის:
მიახლოვდება
პარტიის წმენდა
ვდგავარ სიონში
და მხურვალ გულით
ლოცვას აღვადგენ
ვედრებად შენდა.
მე შენს ტაძარში
პირველად არ ვარ,
ბევრჯერ მოვსულვარ
მის ბჭესთან მალვით,
მე შენი ჯვარი
ხახატე შენი
გულს მიმარხია
რიდება - კრძალვით
თუმცა მანდატი
ჯიბეში ვიგდე
ვარ თითქოს ახალ
სამყაროს მშენი
მაგრამ ამ ხერხით
მუშებს ვატყუებ
და გულით მაინც
შენი ვარ, შენი...
მეც კომისია
თვალწინ მიდგება
როგორც სატანა
თუ რომ გამიგეს
ბნელი წარსული,
მათ არ იციან
მაშინ გატანა.
შენ არა ერთხელ
გადამარჩინე
ამნაირ ხიფათს,
ამნაირ მახეს,
მიჩხრიკეს მაგრამ
შენის შეწევით
ჩემი ცოდვები
ვერ გამონახეს.
კვლავ შენ მოგმართა;
მაღალო ღმერთო
მიახლოვდება,
პარტიის წმენდა
გადამარჩინე
ამ დიდ განსაცდელს
მაღალო ღმერთო
დიდება შენდა!

სიპიტო.

# ოცდაათი წლის მანძილზე

ვინ იფიქრებდა ამ ოცდაათი წლის წინად, რომ დღეს ის კლასი, რომლის წარმომადგენლებიც პირველად იკრიბებოდენ პარტიულ ყრილობაზე, ყოველივე იმას მიაღწევდა, რაც დღეს ხელთა აქვს.

თვით „ყოვლის შემძლე“ პლეხანოვიც კი მერყეობდა ძველი ტიპის „პარახოდივით“, ანუ ჩვენში რომ იტყვიან: „უიმო, ე.ი. უბსკერო კვახივით“.

მაგრამ იყო ერთი კაცი, რომელიც მტკიცედ აღმართულ ბურჯივით ანადგურებდა, ძირშივე სპობდა ამ მერყეობას, ამ ინტელიგენტურ სითალათინეს.

პირდაპირი, სწორი და განუხრელი ხაზი ანუ გამარჯვების უეჭვო მოლოდინით, ურყევი იმედით გაბრწყინვებული ბრძოლის გზა—აი, რა წარმოგიდგებოდა ადამიანს, როცა ყრილობის ანგარიშებში ლენინის ცეცხლ-მიდებულ სიტყვებს კითხულობდი.

და მე მქონდა ბედნიერება თითქმის ამ ოცდაათი წლის წინად მეკითხა და განმეცადა ეს ცეცხლიანი სიტყვები, მათთან დაკავშირებული პერსპექტივები.

ძნელია ამაზე სახუმარო რამის დაწერა.

მაგრამ სიცილი, გულიანად გადაკისკისება, გამარჯვებით გამოწვეული მხიარულება კი შეუძლია და შეჰფერის მას, ვინც იმ თავითვე იწამა ბრძოლისა და გამარჯვების ეს გზა.

და მეც ვიცინი ზამთრის ცეცხლის თეთრწითელი და მაისის ვარდისფერი ნორჩი სიცილით.

ვიცინი, რა-მენაღვლება, ორმოცდა თუთხმეტ წელს მივაღწიე და თითქმის ყველა კბილი შემრჩა, ყოველ შემთხვევაში საძგერი, წინა კბილები, სიცილისთვის აუცილებელი კბილები ყველა საღი და მთელი მიწკრივია ყბებში.

სწორედ იმ ვირის ყბაა ჩემი ყბა, სამსონ ძლიერმა მით რომ ოთხიათასი ფილისტიმელი გაისტუმრა საიქიოს.

არა, მართლაც იმ ვირის ყბა რომ არ იყოს ჩემი ყბა, როგორ უნდა გაეძლო ამდენ ხანს, როგორ უნდა გამოეტარებია და უკლებლად შეერჩინა ეს კბილები ამ კბილებით და თითქმის მხოლოდ კბილებით ბრძოლის წლებში?!. განა, ცოტა რამ დასძგერებია მათ ამ ხნის განმავლობაში, ცოტა ვინმე დაუკბენიათ და დაუგლეჯავთ თვითონ მათ?

მაშინ ხომ მტერი ყოველ ფეხის გადადგმაზე იყო. მერე რა მტერი? პირდაპირ რომ იტაცებდა, თავისკენ ანდამატურად რომ იზიდავდა კბილებს საკბენად და საგლეჯსაფლეთად..

ჰო და თუ მაშინ ასეთი კბენისათვის და საბედისწერო ბრძოლისთვის არ მენანებოდა ჩემი კბილები, მაშ, დღეს მათ ოდნავ გამოსაკრთომად, სიცილით გამოსაჩენად დავინანებ?!.

არ შეგჭამოთ ჭირმა და მერმე ჩემა კბილებმა!

ნიანგელი გახლავარ და ჩემი კბილები არც ისე სახუმაროა მტრებისგან.

მე კი უფლება მაქვს ვიხუმრო, ვკრიჭო ეს კბილები და ვაჩვენო ისინი გამომწვევით ყველა მტერსა და დუშმანს!

მოზრძანდენ და დამძრონ მათ ეს კბილები, რომელთა შეხებაც დრომ ვერ გაბედა.

აი, ჩემი სიცილისა და კბილების ჩენის აზრი.

ეს აზრი მე ჩამძახა და შემათვისა მეორე უფრო ძლიერმა აზრმა, ლენინის გენიოსურმა აზრმა, ქვეყანაზე უსერიოზულესმა აზრმა, რომელიც იმავე დროს მწარე დაცინვა, მწარე ირონია და განადგურებაც ყოფილა ყოველივე იმის თავს, რაც კი ამ აზრს ეწინააღმდეგებოდა, რაც მას სამტროდ და საორგულოდ კბილებს უღრჭენდა.

მარტო მე რამდენი მიღრჭენდა კბილებს?!

მაგრამ მათ კბილთა ღრჭიალზე ჩემმა კბილთა კრჭენამ, ჩემმა სიცილმა, ამ ჩემი კბილის გესლმა გაიმარჯვა.

აი, რატომ ვიცინი მე დღეს ანუ უკეთ— დღესაც განვაგრძობ სიცილს!

ძალიან შვენის ჩემს ჭაღარას დღეს ეს სიცილი. ბევრი კიდეც დამცინის, რომ ასეთ ხანაში მე ჯერ კიდევ ბლომად შემრჩენია სიცილისა და ხალისის ცეცხლი.

ცეცხლი და სიცილი!

რევოლიუცია ცეცხლი გახლავთ! და ცეცხლიც ხომ იცინის. აი, ზამთარში, მაგალითად. ყველას და ყველაფერს თავპირი ჩამოსტირის. ცეცხლი კი იცინის, იცინის მხიარული სიცილით, ხან ნელი და ხან ცხარე ტკაცანით, რადგან ელის გაზაფხულს, ელის ცის საყოველთაო შვებას!.

მეც — ზამთარი და ჩემი სიცილიც — ცეცხლი

მარტო ერთის განსხვავებით:

უწინ ჩემი სიცილი, მიუხედავათ ჩემი ახალგაზრდობისა, ჩემი სუბიექტიური მდგომარეობისა, ობიექტურად ზამთრის ცეცხლის სიცილი იყო.

ახლა კი იგი, მიუხედავად ჩემი ჩაზამთრულებისა, ჩემი ჭაღარისა, სუბიექტურად ჩემი სიზამთრისა, სინორჩისა და ახალგაზრდობის სიცილია, გაზაფხულის თავშეუკავებელი სიცილის ნაკადული, თუ გნებავთ, მთელი ლანქერი, რომელიც წარღვნას და წალეკას უქადის ყოველივე იმას, რაც არ იცინის, რასაც და ვისაც დღეს თავპირი ჩამოსტირის.

ონისიმე.

## წმენდის კანდიდატი

ნახ. ნადარეიშვილის




ვინ არ იცნობს ამ „დვურუშ-
ნიკს“,
დღეში აქვს ცხრა პარასკევი.
სწორს არ იტყვის, სიტყვას ღე-
ჭავს,
თითქოს პირში უდევს კევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედის დალუქა

(სცენა)

**თავადი.**—რაო? 30 წელი შეუსრულდათო! ვაი ჩვენი ბრალი. მე მეგონა— ჯერ კიდევ ქორფაა, საცაა წვეიფორხილებს და ჩვენც გაგვითენდება-თქო, თურმე რასა ბძანებთ 30 წლის ვაჟკაცი ყოფილა აწი დავამარცხებთ ჩვენ მას? ვაი ჩვენო იმედო.

**ვაჭარი:**— ჩვენი საქმე მაშინ წავიდა უკუღმა, როცა ჩვენს ნიკოლოზს პარაკლისი წაუკითხეს და ტახტიდან ჩამააგდეს.

**ხუცესი:**—14 წლის ყოფილან, როცა ოქტომბერი მოახდინეს და რომანოვების სამასი წლის გამაგრებული ტახტი სამუდამოდ დაამხვეს. ახლა, როცა 30 წლის გახდენ, მაგენს ვინღა დაამარცხებს. ეხ, კია დრო ანაფორა გავიხადო და დავდგე მაგათ პლატფორმაზე.

**ვაჭარი:** — მამაო ანგარიშში არ შეცდე. ანაფორა კი არა, შარვალიც რომ გაიხადო, პარტიაში მაინც არ მიგიღებენ, ან კი ვის რათ უნდა ჩვენისთანა ხარა-ხურა. ხომ ხედავ ვინც ჩვენისანები შემძვრალან მათ პარტიაში, ერეკებიან პარტიიდან.

**თავადი:** — წმინდა გიორგი შენ დასწყევლე ამათი მოსვლის საათი, აღარ დაადგა ამათ წასვლას საშველი. ამათ წინააღმდეგ არიან ბურჟუა-კაპიტალისტები, მემარჯვენე „ჰეჲ რაჯაჲ“ ოპორტუნისტები და რა ვიცი ვინ, მარა ესენი იმათ ჯინაზე უფრო მაგრდებიან.

**ხუცესი:**—კაცო, ამ იაპონიამაც რომ მიასო ჩემი ჯირივით ფეხი მანჯურიას დ აქეთ აღარ ქნა პირი!

**ვაჭარი:** — კი ქნას თუ გამოუშვან. ამათ ჯარს ასე ადვილათ ვერ უბედავენ ომს, თორემ აქამდისინ აღარ დააცლიდენ.

**ვაჭარი:** — იცით რა გითხრათ, თქვენი საქმე ძალიან ფინთად მიდის.

**თავადი:** — ჩვენი საქმე თუ ფინთად მიდის, არც თქვენ გადგათ კაი დღე. სავაჭროებზე და სახლებზე ხელი აგაღებინეს; ახლა რაღა გაიმედებს! მე თუ ჩემი მამული ბანკს შევატოვე გირაოში და ნაწილი შენ მოგყიდე, სამაგიეროდ აღებული ფულით ორთაჭალის ბაღებში დროება გავატარე, შენ კი ფულიც დაკარგე და მამულიც.

**ვაჭარი:** — კოოპერატივში დავდგები ნოქრად, იქ—ხომ ნახევარზე მეტი ჩვენი ბიჭები მსახურობენ, თუმცა ახლა პასპორტიზაცია არ დაგვაყენებს კარგ დღეს, ადგებიან და ყველა ჩვენისთანა გაბითურებულ ხალხს გადაასახლებენ.

**ხუცესი:** — ხო-და მაინც არ ყოფილა ჩვენი საშველი. მოდი ერთი ჩვენი იმედის დალუქვის ვიმღეროთ:

ბურჟუა და მენშევიკი
ვერ გვაძლევენ იმედებს.
ვერვინ ბედავს შემოტევას,
სიცოცხლეს ვერ იმეტებს,
მემარჯვენე „მემარცხენე“
გაფუჭდა და წახდა.
რაც დაგვპირდენ, გვაიმედენ
არაფერი ახდა.

**კირილე საფირჩხიელი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. დონის.



# სცენა თანამედროვე ჰამლეტიდან

პოლონიუს კულაკაძე.
რეინალდო. ოპორტუნელი.

ოთახი კულაკაძის სახლში. ლაპარაკით შემოდიან კულაკაძე და ოპორტუნისტი.

პოლონიუსი:—ხომ კარგად მიხვდი, რეინალდო.
რეინალდო:—მივხვდი, ბატონი.
პოლ.:—მათთან იქ ჩემზე ნუკი იტყვი: „კარგად ვიცნობო".
შენ შეგიძლია მოუგონო სხვადასხვა ცი ლი
რაც მიღწევა აქვს, იგი ნაკლად დაუხა ხელე;
წუნი დასდევი იმის სახელს და ჩირქიც მოსცხე:
თქვი: ასეთია და ისეთი, მრუდად მუ შაობს,
ვითომ გარყვნილიც იყოს იგი, ესეც კი უთხარ.
რეინ.:—ბატონო, მაგით ხომ შევეხე იმის ღირსებას.
პოლ.: საქმეც ეგ არის, უნდა დავსცე თ მისი ღირსება.
რეინ.: —რატომ ბატონო.
პოლ.:—ეს იმიტომ, რომ ბაიყუში ხარ.
ჩემს განზრახულსა მოკლედ გეტყვი და მე მგონია
ჭორ-მოგონებით შენ ვითომ კიდევ სხვას დაამატებ.
სიცრუის ჩანგლით შენ დაიჭერ რაც მე მწადია,
მიხვევ-მოხვევით, გამრუდებულ, ოლროჩოლრო გზით
ლელოს გავიტანთ, კვალს მივაგნებთ ძველი ცხოვრების
გაიგე განა! ხომ მიმხვდი?
რეინ.:—მივხვდი, ბატონო,
პოლ.:—მაშ ღმერთი იყოს შენი შემწე წადი, მშვიდობით.

ზახარ.

# წმენდის მოლოდინში

1929 წლის შემდეგ უფრო სწორად — 1929 წლის პარტწმენდის შემდეგ, იგი ერთხელაც არ შესულა ეკლესიაში. ეკლეს. კი არა, პირჯვა რიც არ დაუწერია. პირჯვარ. კი არა ღმერთისთვის ერთხელ მადლობ. არ გადაუხდია, თუმცაღა პირობა მისცა თუ წმენდას გადაარჩენდა, სანთლებს აუნთებდა.

წმენდის წინ კი იგი ჩუმად ლოცულობდა ღმერთს, რომელსაც ევედრებოდა:

—მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა. მართალია მე პარტიაში ვარ; ისიც მართალია, რომ ხშირად მიხდება ანტირელიგიური, ე. ი. შენი საწინააღმდეგო კამპანიების ჩატარება, მაგრამ მაინც მაქვს შენი რწმენა.

ეს იყო წმენდამდე.

წმენდის შემდეგ კი, როცა გადარჩა გაწმენდისაგან, ღმერთი არც კი გახსენებ. და თუ გაახსენდეოდა, ყოველთვის უარყოფდა მის არსებობას და დასცინოდა მორწმუნეებს.

და აი ახლა, როცა მოახლოვდა ახალი წმენდა, მას მოაგონდა ღმერთი.

ჩუმად ლოცულობს, პირჯვარსაც იწერს მალულად და თავისი ორეულის წინაშე კამათობს:

—თუ ღმერთი არის ეს ლოცვა წამადგება, ღმერთი მიშველის. თუ ღმერთი არ არის, მაინც არაფერს ვკარგავ.

და იგი ევედრება ღმერთს, რომ ხელი შეუწყოს და გადაარჩინოს მოახლოვებულ წმენდისაგან, როგორც გადაარჩინა 1929 წელში.

*

წუხელის მან, დაძინების წინ როცა საპირფარეშოში შევიდა, სამჯერ დაიწერა პირჯვარი და ღმერთი ილოცა.




შემდეგ ტკბილად ჩაეძინა.

ტკბილად ჩაეძინა. მაგრამ...

მაგრამ, ლოგინში ისეთი ბორგვა დაიწყო, რომ ცოლი გამოაღვიძა.

—ტიმოთე, რა დაგემართა, რა მო გივიდა? — ეცა ცოლი და გამოაღვიძა, თორემ...

თორემ ტიმოთე გაიგუდებოდა, რადგან ესიზმრა:

პარტბილეთს ფრთები გამოესხა. შეიბერტყა ფრთები და გაფრინდა. მიფრინავს ჰაერში პარტბილეთი და უკან მისდევს ტიმოთე. ვერ ეწევა. ტიმოთე ხედავს ქვეშ მიწას და ეშინია...

მოდი და ასეთ სიზმრის ნუ შეგეშინდება.

ცოლმა, რომელმაც ეს სიზმარი მოისმინა, ქმარს ვერაფერი უთხრა, სანუგეშო წმენდისგან გადარჩენის შენახვა.

ნახ. ლომიძის.

რინ-ტინ-ტინ

# ყაისარ მეცნიერი და სოლომონ ბრძენი

—მაშინ, ხომ კარგი სოლომონი ვიყავი! მაშინ სოლომონ ბრძენს მეძახოდა ყველა.

— დეიკარგე აქედან! შენ უძახოდი შენს თავს ბრძენსაც და ბელადსაც. შენ უბედურო, შენ მართლა ბელადი გეგონა თავი, როცა წააგრძელებდი სამ არშინზე ენას და ერახუნებოდი: ასე თქვა მარქსმა ამა და ამ ტომშიო!

— ტყუილი იყო თუ?

— ტყუილი იყო აბა რა!? როდის თქვა, ბიჭო, მარქსმა—ყასაბი აზრამა მიიღეთ პარტიაშიო? რომელ ტომში?

— შენ რა იცი, რომ არ უთქვამს?

— თუ არ ვიცი, არც ვლაპარაკობდი, არც ვარატრატებდი ენას იმაზე, რაც არ ვიცოდი.

— კარგი ერთი „ტაქტიკოსო" და „სტრატეგო" ყაისარ, შენი „რეჩებით" ყური გამოჭედილი ჰქონდა ყველას.

— მე რასაც ვლაპარაკობდი, ყველაფერს მეცნიერულად ვასაბუთებდი. შენებრ კი არ ვარახუნებოდი ცარიელ ბოჭკასავით.

— ენგელსმა ასე თქვაო, რომ იტყოდი და ანვითარებდი საკუთარ აბდა-უბდას, ეს იყო მეცნიერული დასაბუთება?

— რა იყო ბიჭო აბდა-უბდა? ენგელსმა რომ თქვა იმას შენისთანა ბაიყუში რას გაიგებს.

— როდის თქვა ენგელსმა, შე ყურუმსაღო, რევოლიუცია უსისხლოდ და უდავიდარაბოთ უნდა მოხდესო? უსისხლოდ შემწვარ ქათამს ვერ შეჭამ და რევოლიუცია გინდა გააკეთო?

— რა იცი შენ რომ არ უთქვამს, რა საბუთით ლაპარაკობ ამას?

— მაგას რავა იტყოდა, შენ გამოთაყვანებულო, ენგელსი.

— ა, უყურე! მანაც არ იცის თქვა, თუ არა. რავა იტყოდაო! რატომ არ იტყოდა? აბა მითხარი?

— შენ მითხარი — მარქსმა თქვა თუ არა ყასაბი არ მიიღოთ პარტიაშიო?

— მე რა ვიცი, თქვა თუ არა.

— თუ არ იცი,—სოლომონ ბრძენი ვარ და მე დამიჯერე.

— სოლომონ ბრძენი კი არა, ის არ იგნდა! ბრძენი და ჭკუიანი რომ ყოფილიყავი, არც ასე იქნებოდი ახლა გაბითურებული.

— შენ ხო დიდი გამჭრიახი იყავი, ყაისარ „ვოჟდო", იმიტომაც რევოლიუციის სათავეში მოექეცი ერთბაშად.

— თუ არ მოვექეცი, ეს ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალების ბრალია. ბოლშევიკებმა ხელი ჩაჰკიდეს ამ უკუღმა მოტრიალებულ ჩარხს დაატრიალებენ და ატრიალებენ მათ გემოზე არღანივით.

— ხო, ხო, ხო! ყაისარ, დიდებული ანალიზია; მე და ჩემმა ღმერთმა: აფსუს, შენ რომ ბელადი არ ხარ! პირდაპირ საცოდაობაა!

— ტყუილია თუ? რომ დამცლოდა იმ მამის ძვლებს ვფიცავ, ახლა ჩემზე დიდი კაცი არ იქნებოდა.

— ამაზე მეტი რაღა უნდა დაგცლოდა, ბოლშევიკებმა მერე დაარსეს პარტია, რაც შენ თავს მოესწარი, მერე ძველი ქვეყანა გადააბრუნეს და შენ ამბობ, რომ დამცლოდაო.

— წადი, შენ ციგანი ხარ. მამასხარებ ხომ?

— შენ არ მომიკვდე, ყაისარ! თავი პირდაპირ ბელადის გაქვს. ბოლშევიკებისათვის თუ უვარგისია, რა ვუყოთ, მენშევიკებისათვის მისწრება იქნებოდა.

— სოლომონ „ბრძენო", შენი თავი ხომ ჩვეულებრივ თავებთან არ იხსენიება. ახლა დროშებზე უნდა ფრიალებდეს შენი თავი! აფსუს!?

— შენ ენა გააჩერე გირჩევნია, თორემ...

— თორემ რას მიზამ?

— რას გიზამ და გრეხვებ ამ მუშტს მაგ საბელადო თავში.

— მრეხვებ და ისე გრეხვებ მაგ „ბრძნულ" თავში, რომ ვირი აქლემად მოგეჩვენოს.

— ესე იგი შენ-

— ვირიც ხარ და მეტრუკიც.

(გაგრძილიება შემდეგში, თუ მოვიცალეთ).

**სეზეირ-ბენ-შეიხ**

## ფრენდის კანდიდატი

ნახ. ნადარეიშვილის



ო, ეს არის დიდი ვინმე,
გადიდკაცდა, გაიბერა.
წმენდა რომ მას არ დაინდობს,
ამ ბრიყვს მაინც არა სჯერა.

# უსიამოვნო მოგონებები

კაცი ჭაღარა წვერით, კაცი გახუნებული ევროპიული კოსტიუმით, კაცი, შლიაპით და ტროსტით ზის ბაღში, მუხლებზე გადაშლილი გაზეთი უდევს; გვერდით სკამზე—გახუნებული სათვალეს გახუნებული ბუდე.

მუხლებზე გადაკეცებული შარვალი გაასწორა. ფეხი ფეხზე გადაიდვა.

— მდა! ოცდა ათი წელია სწორედ!—აზროვნებს იგი გახუნებული ტვინით,—ოცდაათი წელია, რაც ეს წყეულები არსებობენ... კარგად მახსოვს 1903 წლის აგვისტოს ყრილობა.., ეს იყო სოციალ-დემოკრატების ყრილობა. მაშინ მოხდა გათიშვა და ბოლშევიკები განზე გადგნენ..

პაპიროსი ამოიღო, ვიღაცას გზაზე გადაუდგა:

— . ერთი მომიკიდეთ ცეცხლი...

გააბოლა. დაჯდა და ჩაფიქრდა.

— მდა! პარტიის მეორე ყრილობა... სწორედ მაშინ გაჩნდნენ ბოლშევიკები.., რაღა თქმა უნდა, უკეთესი იყო სულ არ გაჩენილიყვნენ.

— . რა მუხთალია ბედი.—განაგრძო მან და შუბზე გადატეხილი, თოკით შეკრულ ჯოხს ჩამოაწვა ნიკაპით,—სოციალ-დემოკრატებს რომ მეორე ყრილობა არ მოეწვიათ, მაშინ ხომ არც ბოლშევიკები გაჩნდებოდნენ. ეს ქვეყანა ხომ თავისუფალი იქნებოდა კომუნიზმისაგან.

— აქსელროდი, მარტოვი, ტროცკი..' [illegible] ჩვენი საუკეთესო თაიგული ებრძოდა ლენინს, მაგრამ... რა მაგრამ. სადღა არის რუსეთის სახელგანთქმული მენშევიკური პარტია. ოცდაათი წელი გავიდა და დღეს..

გახუნებულ ქუდს ხელი დაავლო და ბრაზით დაჭმუჭნა.

— ქემაინც ოქტომბრის რევოლიუცია არ მოეხდინათ...

პაპიროსი ანთებული თავით ჩააგდო ქვიშაში და ტუჩდამწვარი ზეზე წამოვარდა:

— ღმერთო, სად არის შენი განგება. ნუ თუ ყველაფერს აპატიებ ამ ბოლშევიკებს! ინდუსტრიალიზაციასაც, კოლექტივიზაციასაც, უმუშევრობის ლიკვიდაციასაც, ხუთწლედის დამთავრებასაც. ნუ თუ საბოლოოდ დაივიწყე შენზე მლოცველი სოციალ-დემოკრატია.., ნუ თუ ქართველი მენშევიკები მაინც აღარ გეცოდება? რა გიჭირდა, ღმერთო, ამ შენს გაჩენილ ქვეყანაზე ერთი კუნჭული მენშევიკებისათვისაც დაგეთმო ან თუ იცოდი, რომ ბოლშევიკები ამ დღეს დაგვმართებდნენ, რატომ არ ჩაშალე მეორე ყრილობა. ან ეს კომინტერნი რაღა გასაჩენი იყო!...

თითონაც ვერ გაიგო როგორ შესდგა ბაღის გრძელ სკამზე და იქიდან დაუწყო კამათი ღმერთს:

— აღარ გრცხვენია უფალო ჩვენი ასეთი გაკოტრება. რა პირით შეხვდები კაუცკის?..

— ამხანაგო, სად შემდგარხართ,—საყვედურით დაუძახა ბაღის დარაჯმა.

— მე... დიახ, შემდგარი ვარ.. საბჭოთა პლატფორმაზე ვდგავარ.

და შლიაპიანი კაცი ბაღის ჩირგვებში შეძვრა.

**ალლარ-ალლეხან.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავტორები მეემაღა



— ვინ იტყვის ჩემზე რომ თე ორეტიულად მომზადებული არ არისო. მარქსის „ანტიდიურინგი" და ენგელსის „კაპიტალი" არ წამი· კითხავს თორემ ყველაფერი ზეპირა დ ვიცი...

# მზადება წმენდისათვის

რა მშვიდი აგარაკზე წასვლას! მაგრამ მე ეს დამჭირდა არა ჯანმრთელობისათვის არამედ პარტიის წმენდისთვის. საქმე იმაშია, რომ შვებულების დროს მინდოდა გამომეყენებია ჩემი პარტცოდნის შესავსებად და სად შეიძლება ეს ისე კარგად, თუ არა აგარაკზე?

კარგია!.. ზიხარ დილით, მიირთმევ საუზმეს და გარშემო კი ყოველნაირი ბუნება! კიაფობს მდინარე მზეზე, სალამურობს ჩიტი, იზრდება მწვანე ბალახი... ზიხარ, მიირთმევ საუზმეს და კითხულობ:

„ბრძოლა სოფლის მეურნეობის შემდეგი აღორძინებისთვის და მისი სოციალისტური გარდაქმნის დამთავრება შეადგენს ამ დროში პარტიის უმთავრეს ამოცანას“.

საუცხოვოა! მაგრამ სწორედ ამ დროს, უეცრად, გამოჩნდება ტასია პავლიაშვილისა. ისიც აქ სცხოვრობს აგარაკზე, რაც არ მქონდა გათვალისწინებული. გოგოს არა უშავს, კომკავშირელია, წინააღმდეგი არაფერი მაქვს, მაგრამ ის გამოცხადდა მეტად საპასუხისმგებლო დროს და შემოაქვს,—ნახეთ ერთი!—წინადადება:

— გესმის, წამოდი მინდორში, რას უზიხარ აქ დილიდანვე!

— ყველა მინდვრები,—ვეუბნები.—ამ ზანად განზე უნდა გადიდვან! „ბრძოლა სოფლის მეურნეობის შემდეგი აღორძინებისთვის და მისი სოციალისტური გარდაქმნის დამთავრება“...—მე, გესმის, არ მესეირნება, „..შეადგენს ამ დროში პარტიის უმთავრეს ამოცანას“..—გასეირნება კი არა,—ამბობს,—მუშაობა ვნახოთ. იქ დღეს ორი ბრიგადის შეჯიბრი ხდება.

— ბრიგადებისათვისაც არა მცალიან დეე, შეეჯიბრონ, მე აქ რა შუაში ვარ? „ყოველი მასიურ-პოლიტიკური მუშაობა პოლიტგანყოფილებებისა უნდა იქნეს მიმართული აქეთკენ, რომ საბოლოოდ აღმოვფხვრათ“.. და სხვადასხვა.

განგებ ვკითხულობ ხმამაღლა, რომ ვაჩვენო, თუ როგორ ვარ გართული საქმეში. მაგრამ გოგო მაინც არ სცხრება.

— კარგი, ხო, წამოდი,—ამბობს.—თითონ უნდა ნახო, თორემ ისე ვერც კი წარმოიდგენ, თუ რა ცვლილება ხდება ახლა კოლმეურნეთა სულიერ განწყობილებაში,— არ მეშვება ის.

— აბა, სწორედ, ახლა მე მათი განწყობილებისთვის მცალიან!.. ნუ მიშლი ხელს!.. „საბოლოოდ აღმოეფხვრათ კლასიური მტრის ზეგავლენა კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში და სძლიოთ წვრილ-ბურჟუაზიულ ნაშთებს“.

— შეგიშლი ხელს,—ამბობს.—დაანებე თავი ერთ წუთში წიგნს და მომისმინე. იცი, მე ველაპარაკე კოლმეურნეებს პურის დამზადების კანონის შესახებ. წარმოიდგინე შენ, რომ ვიღაცას გაუვრცელებია ხმა „ზემხვედრი გეგმის“ და ნორმის გადიდების შესახებ.

— ღმერთო ჩემო!—ვეუბნები,—გაავრცელა და მერე რა? ხომ ხედავ, რომ კაცი წმენდისთვის ემზადება“..

— ვხედავ,— ამბობს. — მერე რა და ის, რომ ზედმეტი არ იქნება შენ წახვიდე და მოელაპარაკო მათ. განუმარტო პარტიის ხაზი ამ საკითხში. შენ, როგორც პარტიულს, უფრო მეტი გავლენა გაქვს, ვიდრე მე.

აი, სწორედ ეს-ღა მაკლია ახლა! კაცს ყოველი წუთი გამოანგარიშებული მაქვს. შვებულების დროს ვმარხავ, იმიტომ, რომ შევემზადო წმენდისათვის და ეს კი შემომჩენია თავისი კოლმეურნეებით! აბა აქ მეტი რაღა დამრჩენია! დავიცავი ყურები და განვაგრძე კითხვა:

—„ბრძოლა სოფლის მეურნეობის შემდეგა განვითარებისთვის და მისი სოციალისტური გარდაქმნის დამთავრება... გარდაქმნის დამთავრება“..

მაშინ ტასია პავლიაშვილისა წარმოსთქვამს რაღაც სიტყვებს, რომლებიც მე არ მესმის და მიდის. მაგრამ მეორე დღეს ხელახლა გამოჩნდება და კიდევ შემოაქვს უაზრო წინადადება.

— დაანებე თავი მაგ დაზეპირებას. მე მინდოდა რჩევა-დარიგება მეკითხა შენთვის: არის აქ ერთი კაცი, რომელიც ძალიან წააგავს კულაკურ აგიტატორს. საჭიროა მისი გამომზეურება. წავიდეთ უჯრედში და მოველაპარაკოთ ამის შესახებ.

ესეც კიდევ ზედ დაემატა!..

რა თქმა უნდა მე ხელახლა დავიცავ ყურები. მაგრამ ეს რას ემგავნება, თუ კაცს ყოველ დღე მოაცდენენ მეცადინეობიდან ყოველნაირი სიბრიყვით! ამნაირათ მომზადება წმენდისათვის როგორ შეიძლება?

გათავდა საქმე იმითი, რომ მოვკარი ჩემი ბარგი-ბარხანა და გამოვბრუნდი ქალაქში.

ეშმაკმა წაიღოს აგარაკი, თუნდაც კოლმეურნეს! უმჯობესია დაიკარგოს ჩემი ფული და უჩემოდ ისალამურონ ჩიტებმა, ვიდრე მე ვიდგე სულელივით მწმენდავი კომისიის წინაშე და ყველა შეკითხვებზე ვდუმდე!..

ტასია პავლიაშვილის მოქმედება კი შეიძლება განისაზღვროს როგორც ოპორტუნისტული. ეს კიდევ ცოტა არის!..

ხ. თ.

## წმენდის კანდიდატი

ჩალარეიშვილი




მშენებლობას ეჭვით უცქერს,
მას „ურწმუნო“ ჰქვია „თომა“.

ხოჭო ლომად ეჩვენება
და სახეზე უკრთის კრთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოცდაათწლიანი გზა

ოცდაათწლიანი გზა.
ბრძოლისათვის არის მზად.

იმან მასწავლა ბრძოლა,
მტერს რომ აუტეხა ძრწოლა.

წინ მიძღოდა მარადის,—
ახლაცა მყავს ფარად ის.

მასწავლა მტრის დამხობა,
და ძმებთან კი თანხმობა.

მასწავლა მან შენება
მშრომელ ხალხის შვენება.

ტარზან.

## ანდაზები წმენდაზე

(ხალხური)

შავი გული, თეთრი კბილი,
წმენდა მისთვის-არა-ტკბილი.

*

მოახლოვდა პარტწმენდაო,
და ჩვენს გამგეს მოსწყინდაო.

*

ჭინ დაბრუნდა გაბრაზილი
პარტწმენდიდან ცარიელი
პარტმანდატი იქ დატოვა,
აწ მისი დრო აღარ მოვა.

*

ალმასკომის თავმჯდომარე,
მაგრად იყო ხესავითა.
მაგრამ წმენდა რომ დაიწყო,
იგი გახდა თხლესავითა.

*

მუხას ცული შემოვკარი
მე მეგონა წიფელაო.
კომკავშირში შენ რა გინდა,
გოგო, ტუჩებ-წითელაო.

*

კოლექტივის თავმჯდომარე
მწვადს მიირთმევს ცხვრისასაო.
წმენდა იმას არ შეარჩენს
შრომის ნაყოფს სხვისასაო.

*

პარტიისა სტუმარიო —
გაცვეთილი ტომარიო.
გამოწმინდეს ზაქარია,
რადგან ყლაპა შაქარია.

ზმუკი

# ძალი შემწევდეს მადლისა

დღეს ოცდაათი
    წელიწადია,
ბოლშევიზმის რომ
    ვიბრვი პარტია.
მიტევდა შიგნით:
    მარტოვი ტროცკი...
მეც მოვცხე მაგრად
    ყველა ამ მოცლილს,
დღეს ველარ სჩაგრავს:
    გლეხებს—თავადი
მუშას — მექარხნე...
    ხელი დავადე
კაპიტალიზმის
    ყველა ციხეებს
და გამარჯვების
    მივითვლი დღეებს!..
  რკინისებური
    მაქვს დისციპლინა!
ოპორტუნიზმმა
    ბევრჯერ მიბწკინა,
მაგრამ ვერ ჰქონდა
    მას ბასრი კბილი:
მკბენდა და გაქრა,
    ვითარცა რწყილი...
იმ წლის თოვლივით
    ჩამადნა ხელში...
უფროც გავსწორდი
    ამ ბრძოლით წელში...
ვაგებ ქვეყანას
    ახალს, უკლასოს,
მთელი მსოფლიოს
    ჩაგრულთა სასოს!
დღეს, მთელ ქვეყნის
    გვაქვს მეექვსედი,
სოციალიზმის მგები ვართ,
    მჭედი,
ხუთ მეექვსედსაც
    ხელში ავიღებთ!
ეს თუ არ გესმით,
    მალე გაიგებთ!

ჰაზირა.

# თამარიანი

ბავშთა სახლს ოზურგეთისას, გამგედ ჰყავს ქალი თამარი.
მფარველიც ქე ჰყავს, არ არის თავისი თავის ამარა.
ბავშთა სახლისა საქმენი თუმცალა დაასამარა.
მაგრამ კერძო კი თავისი ცას ტყორცნა, როგორც კამარა.
    მიმოქრის იგი ქალაქში ვით ცხენი თოხარიკია.
მას მიართმევენ ურიგოდ სადაც სხვებისთვის რიგია.
რაკი სახელი აღვნიშნეთ, გვარიც ვთქვათ— ხომერიკია.
(კარგს იზამ, ჩვენო ნიანვო, რომ გაჰკრა კუდის რიკია).
    ჭოვრ-კონკლაობის შეჯიბრში მიიღო მან პირველობა.
თავმოყრილია თამარში მგლობა და ტურა-მელობა.
ეგ არის მისი პირველი და საყვარელი ხელობა.
დიდი აქვს თამარს იმედი, ნაკლები—არცმფარველობა.
    კოოპერატივებს მიაგნო გამოუთხარა ძირია.
რაც საქონელი მივიდა ყველა მას უნდა, სჭირია,
ვერ უბედავენ უარის თქმას, თუმც ჩხუბი მეტად, ხშირია,
ჩოლოქის სიგრძე კუდი აქვს, ცას უბჯენია ცხვირია.
    შარშან ნიპოსტნე მგელაძეს დღე ... შავია.
უყვირა „შე უბედურო, გაგძვრება ზურგზე ტყავია.
თუ არ მომართმევ ბოსტნეულს, ცხრად გაგიხდება თავია“..
და მოხსნა იგი მებოსტნე... საქმეში უყოავია.
    ერთხელ ნატანებს ესტუმრა, მიადგა ხასაწყობს კარადა.
ვარი რომ უთხრეს, აყვირდა, პირიდან ცეცხლი ჰყარა და
კოლმეურნეთა სიმინდი სახლში გაგზავნა ჩქარადა..
პარტბილეთი და დავითი თამარს ჰყავს ხელ ად და ფარადა.

ნაზ. ლომიძის.



— ბიცოლა, ცოტა ჩვენც გაგვინაწილე ჩვენი სახელით მიღებული სანოვაგე.
— დაიკარგეთ აქედან.

ბ. სამსონოვი.

# ყოფილი წმინდა

წარსული წმინდა სიმონ ბარიკადიძემ გაიარა, თუმცა ცოტა ხიფათით.

სიმონი განუწყვეტელად და დაურიდებლად გამოდიოდა კრებაზე.

ყოველ სასარგებლო და საჭირო საქმეში გამოუსადეგარი, ის განსაკუთრებული მოქნილობით ატრიალებდა თავის გესლიან ენას.

ენა ხომ ტეხნიკური მანქანა, ასე რომ ვთქვათ,—აგრეგატი არის. საქმე იმაშია, თუ როგორ იქნება გამოყენებული ეს აგრეგატი.

სიმონ ბარიკადიძე კი ურცხვად და მოურიდებლად იყენებდა ენას. ამასთანავე იგი დემაგოგიც იყო.

გაჰქონდა მას უფრო დაშინებით, აყრიდა ციტატებს სახელმძღვანელოებიდან...

— პანტაშვილი კარგი მეურნეა, მაგრამ, ძვირფასო ამხანაგებო, მისი მოღვაწეობა; შეგვლის; ფეიერბახისა და პოლ ლაფარგის მეცნიერების თვალსაზრისით თუ მივუდგებით მას,—თვითმომარაგება არის და მეტი არაფერი!

— გაბრიელიძე მტკიცე ადმინისტრატორია, მარა მიეცით მას რამდენიმე შეკითხვა მერინგისგან, პლეხანოვისგან, ბაბეფიდან და დაინახავთ, რომ თქვენ წინაშე დგას ტიტველი მოძალადე და მემარჯვენე გადამხრელი!

— ივანიძე ... შესრულებას ...ხებს, მაგრამ შინ, თავისუფალ დროს, ... რიგიან გარმონზე უკრავს. პლეხანოვს მთელი რიგი მოსაზრებები ... გამოთქმული წვრილ-ბურჟუაზიულ ხელოვნებაზე. ივანიძე არის ამის წმინდა განსახიერება! მასში უნდა დავინახოთ ჩვენ ოპორტუნიზმი ოპოფობა!

გამწმენდ კომისიის თავმჯდომარემ რამდენჯერმე სცადა სიმონ ბარიკადიძის შეჩერება, მარა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა! ის მაშინვე ასტეხდა ხმაურს თვითკრიტიკის ჩახშობის შესახებ.

სიმონ ბარიკადიძის გამოსვლებს შხარს უჭერდა მისგან შემდგარი ჯგუფი, რომელთანაც ერთად მას შედგენილი ჰქონდა მათთვის არასასურველი პატიოსანი მუშაკების სია.

წმენდა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. სიმონ ბარიკადიძემ მიიღო დამსახურებული შენიშვნა, რის შემდეგ მან ამჯობინა ადგილის გამოცვლა.

გადიოდენ წლები. ბარიკადიძე იცვლიდა ადგილებს. ხანდახან ჩვენამდე მოდიოდა ხმები მისი საგმირო საქმეების შესახებ.

ერთ ადგილზე მან დალუპა რამდენიმე სული ძროხა. მეორე ადგილზე პირველობა მოიპოვა ცრუ ცნობების მიწოდებაში. მესამეზე— ისეთ ადგილას გადაგზავნა საშენი მასალა, სადაც ეს სრულებით საჭირო არ იყო. ეტყობოდა, რომ მის ენაწყლიანობას არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

ამ დღეებში მე შევხვდი სიმონ ბარიკადიძეს ქუჩაში. მას აღარ ჰქონდა წინანდელი დამპყრობელი გამომეტყველება. აღარც მისი მოქნილი ენა ტრიალებდა წინანდებურად.

მე ფრთხილად ჩამოუგდე სიტყვა წმენდაზე.

— წმენდის გარშემოც რაღაც უაზრობა ხდება. მე გწმენდე გამოსვლა—ლენინიან! ის კი არა—მე თითონ შემომაძლიეს რაღაც ორჭოფული შეკითხვები: „რატომ დამეხოცა მ- ძროხები“. აბა მე რა ვიცი! ინტრიგებია, მეგობარო, ინტრიგები სულ და მეტი არაფერი! განსაკუთრებით საწყუხარია ეს ძროხების დემაგოგია...

ეტყობა, რომ გამხდარმა ძროხებმა ნერწ-ბარიკადიძემ თავი ჩაქინდრა.
ყვი გაუშრეს მას ყელში.    ს. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანკეტიადა

## (დავითის გასაჭირი)

### II.

შემოდის ტრესტის საქმეთა მმართველი, კაცი ავადმყოფი, ზურგზე ჰკიდია ორფუთიანი ტომარა, წელში სულ მოხრილა, ოფლი ჩამოსდის.

— ამხ. მმართველო, აბა საჩქაროდ წაიკითხეთ ეს მომართვა. დავიღუპებით, ფულს არ მოგვცემენ, თუ ეს საქმე დროზე არ შევასრულეთ.

ვკითხულობ მომართვას, რომელშიაც გარკვევით და მოკლედ სწერია: **წინადადება გეძლევათ ორი დღის ვადაში გაეცნოთ ამ მასალას, შეავსოთ იგი და წარმოადგინოთ. დაგვიანება გამოიწვევს თქვენი კრედიტების შეჩერებას კაპიტალურ აღმშენებლობაში.**

ესეც შენი კონტროლი უმანეთოდ. აბა ჩემო კოტე, სულით არ დაეცე, სასწრაფოდ აქ ჩემთან დაუძახეთ ყველა მას ვისაც რაიმე ნათესაობა აქვს კაპიტალურ აღმშენებლობასთან.

ყველანი მოდიან, შევუდექით მასალების გაცნობას. გამოირკვა, რომ დავალება არც ისე დიდია და რთული. საჭიროა შემდეგი სასწრაფო ცნობები: როდის განიზრახეთ აღნიშნული შენობების აშენება? ინიციატორის წლოვანება? მისი სოციალური წარმოშობა? ნიკოლოზის დროს თუ ცოცხალი იყო და რისთვის? რამდენი ცოლი ჰყავდა? მათი წლოვანება? შედეგები მრავალცოლიანობის? პასუხისგებაში ხომ არ ყოფილა?

რომელ მიწაზე შენდება სახლი? შავია, წითელი თუ თეთრი? იყო თუ არა ნიკოლოზის დროს ეს მიწა? ვინ მფლობელობდა და რამდენ ხანს? როდის ჩამოერთვა და რისთვის? მიწაში ხომ არ არის ნავთი, ნახშირი ან სხვა მადნეულობა? მათი რაოდენობა? შეიძლება თუ არა ამ მოკლე ვადაში მისი გამოყენება? ჩაის, ბამბის, ვენახის, მანდარინის გაშენება? მეკურდღლეობა, სარძეო ფერმები? რომელ მხარეზე ამოდის და ჩადის მზე? მთვარე თუ ანათებს და რამდენ დღეს თვეში? შეიძლება თუ არა მთვარის ვანების მოწყობა? წვიმა, ქარი ხომ არ იცის?

ხარჯთაღრიცხვა ვინ შეადგინა? რა განათლებისაა? ეროვნება? ფული თუ მიეცით ხარჯთაღრიცხვის შედგენაში? რომელ შენობაშიში იყო სხდომა? შენობა ხის იყო თუ ქვისა? ვინ ააშენა და რა დაჯდა?

ვინ იძლევა დაფინანსებას? ფულს გაძლევენ თუ ადრე შეძენილ ხე-ტყის მასალას ფულის მაგივრად? რამდენ თვეს იხილავდენ ფულის მოცემის საკითხს? ვისთვის არის გათვალისწინებული აღნიშნული შენობა? თუ საბინაოა, აღნიშნეთ, რამდენმა სულმა უნდა იცხოვროს? მიზეზი მათი ცხოვრებისა? რამდენი ჰყავთ ოჯახის წევრები? ცოლიანია თუ უქმრო? საიდან მოგაქვთ აგური? რამდენი შეშა დაიწვა მის გამოწვაზე? ვინ მოსჭრა შეშა და რა ჯიშისა იყო იგი? რითი მოიტანეთ? გვარი მომტანის? კოლმეურნეა თუ რკინის გზის მემანქანე?

სად დამზადდა კირი და ვინ დაწვა? ხომ არავინ დაშავებულა გამოწვის დროს? დაზღვეული თუ იყო და პენსიას თუ ღებულობს?

ხე-ტყის მასალა საიდან მოგაქვთ? ვინ გააშენა ეს ტყე? მისი წლოვანება? ვინ მოგცათ მოჭრის ნება? რომელ თვეში მოჭერით? რომელი სახურავით ხურავთ სახლს? როგორ ამზადებთ და რისთვის ამზადებთ? თუ შეიძლება უსახურავოთ დარჩეს სახლი, ლურსმანი თუ სჭირდება და რისთვის? თუ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ლურსმნის ხარჯი? როდის დამთავრდება შენობა? შეიძლება თუ არა შიგ ცხოვრება?

თქვენი შენიშვნები და დამატებები.

—:—

მაგრამ ყველა ამის შემდეგ დამატების თავი ვისლა ექნებოდა. სიცხე 48 გრადუსამდე ასულიყო.

დ. რ—ძე.

[illegible]დის კანდიდატი

ახ. ნადარეიშვილის



სალამსაც კი არ კადრულობს,
დაავიწყდა დაზგა, შრომა;
შეეჩვია თბილ კაბინეტს,
მნახველთ უწევთ რიგში დგომა.

# ზანქიქემა

ბევრი რამ არს ქვეყანაზე
საგმობი თუ შესაქები,
უწესო თუ წესიერი,
უჩინო თუ შესახები!
მაგრამ ზოგჯერ უძლურია
კაცის ტვინი, კაცის ჭკუა,
შავი თეთრად ეჩვენება
და ვერ გრძნობს, რომ თვალი სტყუა.
რომ მეც ასე არ შემემთხვეს,
წინწინ თვალი ავიცერი;
დავაკვირდი ცხოვრებას და
ვნახე ბევრი ავი სენი.
ნეტა ვიყო დოსტაქარი
და მიჭრიდეს ნესტრის წვერი,
რომ გავკვეთო მით მუწუკი,
ახალი თუ ძველის-ძველი.
მაგრამ ხშირად კალამიც ხომ
ნესტარივით სჭრის და კვეთავს
და ესობა გულის წვერზე,
ვინც ცხოვრებას ბნელში კეტავს.
ჰოდა, რაკი ეს ასეა,
ჩვენ კალამი ვიპყრად ნესტრად,
და „ნიანგში" ქვეყნის მტრები
ჩავამწკრივოთ რიგზე მესრად:

—:—

ჰა, აგერ ეს ვაჟბატონი,
ახლა აქ რომ მუშკოობს მართავს,
გუშინ ბირჟის გმირი იყო,
ტყავს აძრობდა მრუდს და მართალს.
დღეს კი! დღეს ის თეთრ კბილებით
ფარავს შავგულს, ცხოვრობს მგელი,
მაგრამ ჩუმად შავსაქმეებს
აჭახრაკებს მისი ხელი.

ეს მეორეც აქ, ამ ტრესტში
ყადივით რომ წამომჯდარა, —
გუშინ მეფის კაცი იყო,
ტრიალებდა როგორც ჯარა.
დღეს უცვლია სახე, ენა
და ნიღაბი აფარია...
ჰოდა, მისი მშენებლობაც
მოგონილი ზღაპარია

—:—

ეს მესამე ჩიაკაციც,
პატრიოტი იყო ძველი,
თუმცა ჭკუა მოკლე ჰქონ…
მაგრამ კუდი უჩნდა გრძ…
ახლა კუდი დაუმალავს,
ასიქსიქებს მხოლოდ ენას,
მუშა არის მისი მრწამსი,
იმედი და ალმაფრენა.
მაგრამ სულში თუ ჩახედავთ:
გულზე კუჭი აფარია;
ქვეყანაზე მუშის საქმე
მისთვის მხოლოდ საფარია.

ხუმარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ამ დღეებში შესდგა ტფილისის აფთიაქების „რჩეულთა" მიტინგი, რომელმაც საპატიო პრეზიდიუმში აირჩია აფთიაქების ყოფილი მეპატრონეები: ძმანნი ბროიდოები, ჯაფარიძე, ძოწენიძე და სხ.

წესით, მიტინგის თავმჯდომარეობა უნდა გაეწია რიგრიგობით ყველას, ვისაც ერთხელ მაინც თამადობა გაუწევია რესტორან „ეიზენ ში". ასეთები ბევრი აღმოჩნდა, როგორც საათფთიაქო სამმართველოდან, ისე ძირეული აპარატიდან და რომ მიტინგი არ გაჭიანურებულიყო, გადაწყდა—თავმჯდომარე ყოფილიყო ერთი და ისიც ყველაზე უფრო დამსახურებული, სტაჟიანი მდღანგველი. ასეთი კი აღმოჩნდა ფარმაცევტი (მეოთხე აფთიაქიდან) **სოლომონ ბაქრაძე**, რომელსაც გაფლანგვისათვის ათი წელი ჰქონდა მისჯილი.

მართალია, ტფილისის მეოთხე აფთიაქის გამგემ **კონსტანტინე გიორგობიანმა** მთელი დაცემარაბა ატეხა როგორც პროფესიონალურმა ლოთმა მისი თავმჯდომარედ აუღჩევლობის გამო, მაგრამ რაკი გამფლანგველ თა რიგებიდან მისი ფალავანი ბაქრაძე გავიდა თამვჯდომარედ, მალე დაწყნარდა, როგორც კი ერთი ყურიანი ჰიქა კონიაკგარეული ლუდი ახუხვიეს.

ვრცელი სიტყვით მიტინგზე გამოვიდა ტფილისის მეორე აფთიაქის გამგე ნათავადარი **ნიჟარაძე**, რომელიც შეეხო კადრების შერჩევის საკითხს.

კომუნისტების ხვედრითი წონა—ლაპარაკობს ორატორი—მთელ რიგ აფთიაქებში თანდათან მატულობს, რაც ჩვენი ამხანაგების სისუსტეს უნდა მიეწეროს. ჩვენი აპარატი დანაგვიანებულია უცხო ელემენტებით, რაც დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს. რაც შეიძლება მეტად უნდა მოვიზიდოთ ისეთი საიმედო პირები, როგორიც არის თუნდაც ჩემი მოადგილე თავადი ერისთავი. (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადავიდა).

შემდეგ გამოვიდა მეოთხე აფთიაქის გამგე (კარგად შეზარხოშებული) კონსტანტინე გიორგობიანი, რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საქეიფო კომიტეტის მუშაობა და მოითხოვა დახმარების გაძლიერება საათფთიაქო სამმართველოს საწყობებიდან. „**წინააღმდეგ შემთხვევაში**—ლაპარაკობს გიორგობიანი, ჩვენ დავდგებით ისეთი გარღვევის წინაშე, რომ არა თუ „ნარკომზემი № 2", იმერული ღვინოც მოგვენატრის".

ილაპარაკეს საათფთიაქო სამმართველოდან ბროიდომ და მთელმა რიგმა რწმუნებულებმა, რომლებმაც არც ისე უნუგეშოდ სცნეს საქეიფო კომიტეტის ფინანსიური მდგომარეობა.

— რას მოწმობს, თუ არა საქეიფო კომიტეტის ფხასა და უნარს ის გარემოება, — ლაპარაკობს ბროიდი, რომ საათფთიაქო სამმართველოს 1930 წელს თავის საწყობებში დააკლდა მხოლოდ 36,000 მანეთი, წელს კი ეს დანაკლისი აყვანილია 60.000 მანეთამდე! (ხმები: „ვაშა", ტაში).

რიგს გარეშე ამ განცხადების შემდეგ გამოხტა გიორგობიანი, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ:

— კომიტეტს 60.000 მანეთიდან სულ ცოტა თანხა შერჩა, რაც აიხსნება მოქეიფეთა რიცხვის სწრაფი ზრდით და ფასების ზღაპრულად გადიდებით რესტორან „ეიზენში", გაიგეთ ხალხნო, რომ „ეიზენში" ყველაფერი გაძვირდა. საჭიროა გამოინახოს დამატებითი წყარო ზედმეტი დატვირთვისათვის გასამრჯელოს გამოწერა ინდივიდუალურ წესზე რამდენიმე ასეული მანეთის რაოდენობით!

მიტინგმა სათანადო ღონისძიებათა დასახვის შემდეგ შეიმუშავა შემდეგი რეცეპტი: „წვადიკუნ-სუკინალი ბატკანიცი", „ქორფეკუმ წიწილიცი ქინძ-ძმარიცი", „სალათინა კიტრითი-პამიდორატი", „კონიაკისა ფუნჯიცა", ნარკომზემიკუმ № 2", „ხაშიცი არაყიანა ნაპახმელარი"

ცხი

# ქურდის ქურდი

ამ წერილის სათაური ახირებულად იწყება, როცა ლაპარაკი გვაქვს ნოქარ ავეტისაზე. გამოდის, რომ მკითხველის შთაბეჭდილებაში პირველადვე შეიჭრება ისეთი გაგება, თითქოს ნოქარი ავეტისა იყოს ქურდი. ამის გარანტიას მე არავის არ ვაძლევ და ქურდობის პასუხისმგებლობასაც ვიხსნი თავიდან, რადგან ავეტის მეტად საჭირო კაცია. როგორ შეიძლება ნოქარი ქურდი იყოს, კაცი კოოპერატივში მუშაობდე და მოიპარო რაიმე, მაშინ, როდესაც საქონელი შენს ხელშია. ადექი და პირდაპირ წაიღე სახლში ნახევრად ოფიციალურად.

გადავიდეთ პირდაპირ თემაზე. ავეტისა მეტად დაიღალა ამდენი შრომით, განსაკუთრებით კოოპერატივიდან სახლში მისვლის დროს ის ოფლში იღვრებოდა. (რატომ იღვრებოდა, ეს მკითხველისათვის გასაგებია).

— ავეტის, შენ ერთი თვის შვებულება მოგეცით როგორც საუკეთესო მუშაკს! — უთხრა ადგილკომის თავმჯდომარემ, — დაისვენო უნდა.

ეს ამბავი არ მოეწონა ავეტის. შვებულებაში წასვლის წინააღმდეგი იყო.

— რად მინდა დასვენება, ჩემი წასვლით მე კი არ დავისვენებ, არამედ კოოპერატივი დაისვენებს!—გაიფლო გულში.

კოოპერატივის გამგესაც შემოაკლდებოდა ოჯახში შემოსავალი, ახლად მოსულ კაცს ასე ადრე ვერ გაიშინაურებდა, ამიტომ ავეტისას შვებულების განცხადებაზე მან წააწერა:—ვინაიდან, რადგან ავეტისას შვებულებაში წასვლა ზიანს მოუტანს კოოპერატივს, შვებულების ნაცვლად მიეცეს კომპენსაცია.

— აღარ მივდივარ შვებულებაში, გადავრჩი!—უთხრა გახარებულმა ცოლს.—ჩემო კარგო, შენ წადი აგარაკზე, დაისვენე. სურსათ-სანოვაგეს არ მოგაკლებ.

შეთანხმდნენ. ცოლი აგარაკზე წავიდა. ავეტის ყოველდღე ღებულობდა ცოლიდან წერილს „სიზმრები არ მასვენებს, ყოველდღე სიზმარში ვნახულობ რომ შენ თითქოს მღალატობ, მეორე ცოლი ითხოვე კიდეც და სხ.". ასეთი ეჭვიანობის გამო ცოლს დიდხანს არ მოუცდია აგარაკზე.

ერთ დღეს ჩამოვიდა კიდეც სახლში. შეაღო ბინის კარები და ვიღაც გვარიანი შესახედი ქალი ნახა ტახტზე ჩამომჯდარი მოკრული ბარგით.

— აჰა, ჩემი სიზმრები მართალი ყოფილა, მიღალატა ქმარმა.

— შენ ვინ ხარ?—დასჭყივლა ქალს.

— მე ვინცა ვარ გასაგებია. ამ ოჯახის მამაკაცს შევუყვარდი, მითხრა გადმოდი ბარგით ჩემსა, ერთად ვიცხოვროთო. მეც ასე მოვიქეცი, ახლა კი ველოდები თუ როდის მოვა.

ცოლი გაცეცხლდა. ნევრები აეშალა, წაავლო ქალს ხელი და კარებისაკენ ხელი გაუშვირა—წადი, გაეთრიე შენი ბარგიანა, არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!

უცნობმა მოკრულ ბარგს ხელი დაავლო და მუქარით გარეთ გამოვიდა.

არ გასულა დიდი ხანი და ავეტის დაბრუნდა სამსახურიდან. ცოლი მისალმების ნაცვლად ულვაშებში ეცა და გადაყლაპვას უპირებდა—მიღალატე, მაგისთვის გამიშვი აგარაკზეო.

დამშვიდდნენ.

შემდეგ გამოირკვა, რომ ის უცნობი ქალი ქურდი იყო, მოკრული ბარგიც—ავეტისას ქონება. მეზობლებმა გაიგეს ქურდის ასეთი მოხერხებული ოინი, მაგრამ ავეტისს გაქურდვას მაინც და მაინც არ დარდობდნენ. რა უყოთ მერე, ქურდმა ქურდს საქონელი მოპარაო. პირში კი ეუბნებოდნენ — დაილოცე ძმაო, სიმწრით და შეგროვილ კაპეიკებით მოწყობილი ოჯახი გაგიცალესო.

ავეტისას გაქურდვის ამბავი მილიციაში არც გაუცხადებია—კაცი ფრთხილი უნდა იყო, არაფერი გამომიჩხრიკონ. სულ ერთია ოჯახს ორი თვის განმავლობაში მაინც შევავსებო.

ივანიკა

ნახ. ნადარეიშვილის

# იმერული სცენა

ბიჭო, გამაგებიეთ, კაცო, რა ხალხია ეს კომუნისტები, თვარა ესაა გადაველი ქკუიდან! დედა, დედა, რას არ მეიგონებენ ეს სახლკარდასაწვავნი! მე ჩემი თავი მოთავებულ კაცად რომ მეგონა და მუხიანის სათესლე კინტრივით მომქონდა თავი, თურმე არაფერი არ მცოდნებია!

არა, ნასწავლი რომ არ ვიყავი და პროფეცორად მე არ ვივარგებდი, ეს კი ვიცოდი, მარა თუ ხვნა-თესვას მასწავლიდა ვინმე კიდო, ეს კი აღარ მეგონა სწორედ! გამოგზავნეს, ბატონო, აგრონომები, ბრიგადები, მოედნენ თელათ სოფელს აგი ნასწავლი ხალხი და სულ ახალ პლანზე დაგვაწყებიეს მუშაობა!

შევედი კოლექტიაში და ქე ვარ ალხეინად. გამიწყრა ღმერთი და ვთქვი: მოდი ერთი წავალ ტიფლისში, მევინახულებ ჩემ ცოლის ძმას სოგრატია წიწილაშვილს და აგი ნამუშევარი კაცი თვალს წყალს დავალევინებთქვა.

თქმა და ქნა ერთი ვქენი, ევიღე ბილეთი, ჩავჯედი პოვეზდში და გლეჯა მოვადინე ტიფლისში. აგერ რომ მოვდივარ ტროტროზე და შუა ულიცაზე დევინახე მილიციელი, ჩემი ნათლული ბენედიქტე ჭლაკვაძე. ჰეშმარიტად გამიხარდა რომ დევინახე. დედა, რაფერ გამოცვლილა, რაფერ გამოკეთებულა აგი ჩვენი ბენედიქტე! მისთანა ჩაცმული და მოკაზმული იყო, რომე სწორედ სალამის მიცემა ველარ გოუბედე! დგანა ამ ულიცაზე თეთრი პეპელივით გამოწყობილი, თავზე ნიყვივითა აქვს ჩამოცმული წინ და უკან ორ კიკიროზიანი თეთრი ქუდი, ხელზე თეთრი ფელჩათკები აცვია და ესევა ათასობით ქალები, მარა ყველას ხელებს უქნევს და არც ერთს არ იკარიებს ახლოს! საწყალმა მამამისმა მურძაყანმა ძლივს იშოვა ერთი თეძო მონგრეული ქალი და მის შვილს კი აქანა კიტაიცკი დედოფალივით გამოპრანჭული ქალები ბუზივით ესევა, მარა როდი იკარებს ახლოს! მე რავა გოუბედავდი სალამის მიცემას, მარა მან დამინახა თითონ ბენედიქტემ და იმ მინუტში აწია ზევით ეს თეთრი ფელჩატკიანი ხელი. მე ვიფიქრე—დევილუპე კაცი და მომასწრო სალამითქმა და გადავარდი, მევიშვლიპე ქუდი და იგი იქიდან მიქნევს იმ ფელჩათკიან ხელს და მე აქედან მივდივარ და უქნევ თავს! წევიწიე წინ და მინდა მოვეხვიო, მარა მომაძახა: „არ მომეკარო ახლოსო!“ ბიჭოს! გედევირიე სწორედ! ბენედიქტე არა ხარ, ბოშო, შენთქვა?—მივაძახე „გედიხადე ოცდა ხუთი მანეთი შტრაფიო დაია, მომეკიდა ცეცხლი და თელათ შემომედო ალი! ვეუბნები: რატომ, ბოშო, რატომ? რავა, ყანა ხომ არ წამიხდენია შენი, რეიზა გადევიხადო შტრაფითქვა! არ მცალიან შენ სალაპარაკოთო,—და ჩაბერა შუშტუკს! დოუფშტვინა, მოცვივდნენ მილიციონერები და წამიყვანეს კომისარიატში! ველაპარაკები: კაცო, რა დამიშავებია, რა გინდებიან ჩემგანთქვა! კაცს სალამი მივეცი და ამიზა მშტრაფავთქვა? „იგი იმ დროს სამსახურში იყოვო და სიარულს ასწავლიდა ხალხსაო.

რალა დროს ამ მოწიფული ხალხის სიარულის სწავლებაა, გედევირიე სწორედ! ბიჭო, კაცო, ორმოცდაათი წლის კაცს ახლა მასწავლიან სიარულს?! აგია საქმე? ფეხს ახლა გვადგმევინებენ! სიარული მე ორმოცდა ათი წელიწადია რაც დევიწყე, მარა რას გეიგებ კამუნისტების სეკრენტს! ალბათ ასე სჭირია ხუთწლედის პლანს!..

## ჩმენდის კანდიდატი

ნახ. ნადარეიშვილის



ცოცხალ ლეშად გადაიქცა,
გაიხრწნა და გადაგვარდა,
და ამიტომ პარტიიდან
პროპკასავით გამოვარდა.

ნახ. დონია.



— ეს გიორგას ნაკვალევია.
ხაიდან იცი.
— როგორ არ ვიცი. ვერა ხედავ როგორი ზიგზაგია და მიხვეულ-მოხვეული. ალბად მთვრალი იყო ჩვეულებისამებრ.
— მე მგონია ეს არის კირილეს ნაკვალევი
— რას ამბობ, კაცო. როდის იყო, რომ კირილე [illegible]
— ხამაგიეროდ ოპორტუნისტია. პირდაპირობა ეჯავრება, მიხვეულ-მოხვეული უყვარს ყველაფერი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდი, ნახე!

## გაფრთხილება

სადგურ ხარაგოულის მეისრე ლუკა მეტრეველი სისტემატიურად ლოთობს და ხშირად სამსახურში მოშაობას აცდენს.

დონ-მანი.

გამოფხიზლდი, გაფრთხილდი,
ნუ ფიქრობ, ლუკაო;
თორემ ყანწის ტრიალში
გაგვარდება ლუკმაო.

## ახლა ნუნუას

სადგურ სვირში მილიციელი მჟავიძე მგზავრებისაგან ჩამორთმეული ღვინით ქეიფობს და მოქალაქეებს უხეშად ეპყრობა.

ზეტი.

აზნაური ვარ ყოფილი,
მე ვფლობდი ძველად აზოხა,
ახლა ნუნუას ვაცლოცებ,
არავინ დამინახოსა.

## მოვაგონებთ

სადგ: ძირულა ხშირად ისე ჩაბნელებულია, რომ მატარებელი რომ ფეხით დადიოდეს ცხვირს გაიტეხავს სადგურში შესვლისთანავე.

მგზავრი.

მოვაგონებთ
ჩვენ რკინის გზის
სამმართველოს „ზნახარებს“,
რომ ბნელეთში
„მშვიდად შრომა“
მხოლოდ ქურდებს ახარებს.

## იცნობდეთ!

სტუდენტთა ქალაქში საქპურტრესტის 152 ნომერ. წერტის გამგე კოლა ერიშოვი სტუდენტების პურს, რომელსაც ნორმაზე მეტს იწონის, კერძო პირებზე ყიდის.

X-სი.

პურის წერტის „ზავი“ გახლავთ
ერიშოვი ჩვენი კოლა,
ვინც სტუდენტთა ნორმის პური
ხრიკებით ხელს გააყოლა.

## ვერ უშველის

### ტფილ. სახ. სამ. მუშფაკი

ტფილისის სახ. სამ. მუშფაკის „დასურულ“ სასადილოს გამგე დ. მეტრეველი სტუდენტების ხვედრ პურს თავის ძმაბიჭებს ურიგებს, რის გამო ხშირად იმართება ბრძოლა სტუდენტებსა და გამგეს შორის“..

ჩერი.

სასადილოს გამგე ხარ,
მეტრეველო დომენტი.
არ მოცდება
არასოდეს
თუ ხელთ იგდე მომენტი,
რომ ფეხე არ გასცე
სტუდენტების პურითა,
„ამოკრულიც“ წასულხარ
უკან ნიკურითა.
მინახოვოც განოგყვეს
შენთან ფლავის ჭამია,
შენმა მცველმა ძამიამ.
შენმა მცველმა ძამიამ.

## წმენდის კანდიდატები



ეს ყმაწვილი მეჯმარჯვენე,
აქ გვრიტივით რომ შლის ფრთებსა,
ცდილობს მფარველ ანგელოზად
მოევლინოს კულაკებსა.



ეს „ყმაწვილი“,
როგორც ხედავთ,
საქმიანობს ხელში ტიკით,
ამისთანა „მუშაკები“
ჯანდაბას და ცხრა მთას იქით!



ზოგიერთი სოფლის საბჭოს
თავმჯდომარე წაგავს ლომსა,
კულაკებთან „სმიჩკაშია“,
ღარიბებთან „იხდის ომსა“.

## ნიანგის საგზილო გაიცანით!

### (ქუთ. რაიონი)

იცნობდით — ვასილ ჩენჩია“
კაცი ცნობილი, დამკვრელი,
მეზობელს ცხვარი მოპარა,
ასე გაითქვა სახელი!
მილიციამ ეს გაიგო
ვასილს ფეხი გაუხუნა,
მაგრამ მილიციის გამგეს
მან აჭამა ცხვარის ღუმა,
რისხვა მისკენ წამოსული.
ამგვარ ხერხით დაადუმა!
შევიოტიც მოიპარა
ვასილ „ჩენჩმა“ მაგრამ შერჩა,
და ვასილიც ასე მღერის:
„ჩენჩი ვიყავ, დავრჩი ჩენჩად“!

## აი, ესეც თავმჯდომარე

### სოფ. ქველეთუბანი
### (ზესტაფონის რაიონი)

თავმჯდომარე გვყავს არტელის
მძარცველი დაუზარელი,
მექთამე გაუმაძღარი
და კულაკების მფარველი!
სახელად ქვია ერმილე
საცერაძეა გვარადა,
ჯერ კარგად ისვრის ბადესა
თუ შემდეგში არ წამწარდა!

## ლოთი-ფოთი

### (სტალინისის რაიონი)

სოფ. წრომი

„სოფ. წრომის (სტალინისის რაიონი- ხას. საბჭოს თავმჯდომარე ილია კუპრაძე გლეხებს უხეშად ეპყრობა, მას ბრალდება აგრეთვე ფლანგვაც“.

ლომი.

ლომიძეს თავი
გონია ლომი,
მიტომაცა აქვს
გლეხებთან ომი!
წელზე კიდია
გრძელი ნაგანი,
და უწმაწური
უყვარს ცაცხანი.
ფულებსაც ფლანგავს
ღვინოს სვამს გუდით,
თავმჯდომარეა
თავს ხურავს ქუდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელვა

## ავი სიზმარი

სურამი. სურამის კოოპერატივის გამგეს ზებო პაპიძეს დაესიზმრა—ვითომ ის საქონელი და გამომცხვარი პური, რომელსაც იგი თავის ძმა-ბიჭებს აძლევს—აცხადებენ პროტესტს გამგის ასეთ უსამართლობისათვის და აპირებენ საჩივრის აღძვრას ნადაც ჯერ არს. ზებო სიზმრის შემდეგ თავს უვასიათოდ გრძნობს.

იქადანვე. აღმასკომის თავმჯდომარეს თხოვნით მიმართეს მცენარეულთა დელეგატებმა, რათა იკმაროს მან ჩინარების უმოწყალოდ განადგურება, რომელთაც მუსრს ავლებს პატივცემული თავმჯდომარე ქალაქის ლხასიათოდ გრძნობს.

**გრიგალი.**

## ბილწავები

ფოთი. ნაზუტურის სამკითხველოს გამგის განცხადებით განზრახულია ხსენებულ სამკითხველოში ჯიშიანი ვირთაგვების მოშენება, ვინაიდან სამკითხველოს წიგნები არ მოეპოვება და ტყუილა-უბრალოდ ცდება შენობა.

**ზღვისპირელი.**

## „დამძვრელები"

ფოთი. დროებით დაიხურა ქ. ფოთის რაიტპოს განყოფილება. განყოფილება გაიხსნება მას შემდეგ, როცა თანამშრომლები თვითმომარაგების კამპანიას დაამთავრებენ.

**სამნი.**

## უბედური შემთხვევა

ბაღდათი. ბაღდათის სასადილოს კარებთან იპოვეს ტყავ-გამძვრალი მოქალაქე, რომელიც მეტად ცუდად გრძნობს თავს. მოქალაქემ შეკითხვაზე თუ სად მოუვიდა ასეთი უბედური შემთხვევა—მიკნავებული ხმით წარმოსთქვა: „ეს არის ახლა გამოვედი სასადილოდან, სადაც დამატოვებინეს ტყავიო".

**ჩი.**

ჩოხატაური. გაიხსნა უფასო კონცერტების სეზონი. კონცერტი შესდგება სხვადასხვა ეტნოგრაფიულ კილოებისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლხეთის ჯიშიანი ბაყაყები. კონცერტის ადგილი: სახანძრო რაზმის მიერ მოწყობილი ბოჭკები, რომლებშიაც „მომარაგებულია" წყალი 1925 წლიდან.

**კიბი.**

# გაიმართლა

— ხედავ: გაზეთში სწერია, რომ თქვენ მარტო დაგიტოვებიათ რაიონი და შვებულებაში წასულხართ...

— ცილის წამებაა, მარტო კი არა ჩვენ იქ გარეყვევები დავტოვეთ.

# გოდორი

კაშპეთს (აქვე) „თქვენი" ლექსიდან „ტრამვაის" მხოლოდ ორ კუპლეტს ვათავსებთ:

„ჩქრო ცოცინათელა,
დაფრინავ ნელა-ნელა",
შენში ჯდომის ლოდინში
დამწვა და დამაწვლო.
ჩიტი ვიყო ნეტავი
გამომაბა ფრთებით,
გადვიფრინო წამსვე
მდინარე და მთებია.

ზოგიერთი მოფერებიც აგრე ფიქრობენ და კიდეც „ასრულებენ" მდინარეებზე და მთებზე ფრინდებიან, მაგრამ „ში კაკალ ხრამეში ვარდებიან.

ესტატეს (სენაკი) თქვენი აფთიაქის მუშაობის დასახასიათებლად იწერებით, რომ მოქ. გეგენავას სენაკის საბჭოთა აფთიაქში დახალევად მისცეს დასაზელი წამალი, რომლითაც ავადმყოფი კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს. სამაგიეროდ დასახელებულ აფთიაქის გამგისთვისაც მიუციათ შესაფერი წამალი ადგილობრივ გაზეთში ჯერ ეს იკმაროს.

კოდოლას (სენაკი) „ფხიზელი" მოძრაობა იწყება სენაკის-რკინის გზის სადგურში თუ კი მართალია თქვენი ლექსის შინაარსი რომლის ერთ-ერთ ტაეპში ამბობთ:

აქ სადგურის
„ნაჩალნიკი" ჟლენტი,
ღვინით არის
ხშირად განაჟღენთი.

წინწყაროს (მარტოთუბანი, შორაპნის თემი) კოლექტივის თავმჯდომარეს ბეჟიაშვილს ბრალსა სდებთ უხეშობაში და თვითკრიტიკის ჩახშობაში და არც ერთი ფაქტი ამის დასამტკიცებლად არც ლექსში და არც ცალკე განმარტებაში არ მოგყავთ. ასეთი მასალით სარგებლობა შეუძლებელია.



**მეეზოვე.** ეხლა მაინც დაიცა ვი სისუფთავე, თორემ დაგაჯარიმებენ ანტისანიტარიისათვის.

**მდგმური.** ვინ დამაჯარიმებს, მე თვითონ სანიტკომისიის წევრი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




იყო ორი მეზობელი
და ორივეს ჰქონდათ ბაღი.
ერთი იყო ცრუ მებაღე,
მეორე კი მცოდნე, სალი.
ეს ზრუნავდა მუდამ ბაღზე,
ევლებოდა თავს ხეხილებს...
სასუქს აწვდის და სიცხეში
წყაროს წყლით რწყავს და აგრილებს.

არ აყენებს ბალახ-ბულახს,
არ აკარებს მავნე მწერებს,
პირველს ხახა დაუღია
და მეორეს არ უჯერებს:
—ხომ კი დავრგეთ? აწ რა უნდა!
აწი თითონ გაიზრდება.
ნაყოფს ჭიანც კი მოისხამს,
თავისთავად დამწიფდება!

და მეორემ ასე უთხრა:
—სხვადასხვაა ჩვენი გზები.
თუ განაგრძე საქმე ასე
ალბად მალე დაიმსხვრევი.
და ასრულდა ეს თქმა მისი.
აქვე ნახეთ მათი ბაღი.
ერთზე მწარე ნაყოფია,
მეორეზე ტკბილი, სალი.